

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელს აქვს ტავისი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს განახლების რეჟიმში, რადგან საზოგადოებრივი საჭიროებები და გამოწვევები მუდმივად ცვალებადია. რადგან საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსდება ბიუჯეტიდან, ანუ მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებიდან, მაუწყებელი უნდა სრულად ასახავდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, უნდა იყოს მიუკერძოებელი და საზოგადოების ყველა ფენის ინტერესის გამომხატველი და დამველი. საამისოდ საჭიროა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს რედაქციები დაკომპლექტებული იყოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრებით. საჭიროა მაუწყებელში შეიქმნას შიდაკონკურენციული გარემო, რაც მაღალი სტანდარტების მქონე პროდუქციის წარმოებისა და მაყურებლებისთვის მიწოდების ერთ-ერთი გარანტორი და საწინდარია. როცა ქვეყანაში სარეკლამო მომხმარებელი მწირია, ამ შემთვევაში საზოგადოებრივ მაუწყებელს გარანტირებული დაფინანსებით კომერციულ არხებთან შედარებით აქვს უპირატესობა, რომ ბაზარზე იყოს დომინანტი. თუმცა სამაუწყებლო რეიტინგებში აჭარის ტელევიზია სამწუხაროდ აუტსაიდერის პოზიციაშია. რადიოს კონტენტი კი საერთო დაკნინებულია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტი

საინფორმაციო სამსახური

ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება არის უპირველესი პრიორიტეტი ნებისმიერი მედიასაშუალებისთვის. ამ მხრივ საზოგადოებრივ მაუწყებელს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რადგან მას დამკვეთი ჰყავს ქვეყნის მოსახლეობა. ანდაზად ქცეული ფრაზა „ვინც ფლობს ინფორმაციას, მას აქვს წარმატების საწინდარი“ შეიძლება ცაითვალოს აქსიომად. აქედან გამომდინარე, თუ გვინდა რომ ქვეყანაში თანამიმდევრულად განვითარედეს დემოკრატიული პროსცესები, საჭიროა საზოგადოებას ჰქონდეს ობიექტური და რეალური ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. საჭიროა საინფორმაციო სამსახურის გაძლიერება, როგორც პროფესიონალი პერსონალით, ისე ტექნიკით. საწიროა საინფორმაციო სამსახურმა იმუშავოს არამარტო სატელევიზიო და რადიო კონტენტზე, არამედ მნიშვნელოვანია

განვიტარდეს ვების სტრატეგია. ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვიტარება გვაჩვენებს, რომ მომავლის მედია სწორედ სინთეზური, ვებკონტენტია. ამისთვის საჭიროა მაუწყებელმა მეტი ინვესტიცია გაიღოს. ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა დასაქმებული პერსონალისთვის მასტიმულირებელი სისტემის შექმნა, ეს იქნება დამატებითი საკონორარო სისტემის შემორება და საპრემიო სისტემა.

შემოქმედებითი სამსახური

აწარის მაუწყებელში შემოქმედებითი სამსახური საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში დაინერგა სატერლევზიო პროექტების შესყიდვა, ჯერ-ჯერობით რეგიონში ვერ ჩამოყალიბდა პროფესიონალი სტუდიების ბაზარი და ძირითადად ისევ ტელევიზიის ტექნიკითა და პერსონალით ხდება გარე პროდუქციის მომზადება. ამ მხრივ საჭიროა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მარალხარისხიანი და რეიტინგული გადაცემების მომზადებას.

რადიოს მიმართულება

როცა რეგინში ფაქტობრივად არ გვაქვს რადიოს ალტერნატიული საშუალება, ამ დროს აწარის რადიოს აქვს საშუალება მუდმივად ჰქონდეს ცოცხალი ეთერი, მიმდინარე მოვლენების შესახებ ინოფრმაციის დროული მიწოდება და სახვადასხვა მუსკიალური შემენებითი პროგრამების ჩაშვება. საამისოდ მაუწყებლის ბიუჯეტიდან შესაძლებელია დახიარჯოს ბიუჯეტის 10 პროცენტი მაინც, რომელიც სრულად ააღორძინებს რადიოს, რადგან ეს დაახლოებით ერთ მილიონ ლოარს შეადგენს.

გასართობი და სემეცნებითი პროგრამები

ტელევიზიას აქვს სასუალება მოიზიდოს რეკლამები და მათი მეშვეობით აწარმოოს სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი პროგრამები, რომელშიც შესაძლებელია რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართვა და დაინტერესება. მაუწყებელმა ამ მხრივ გზა უნდა გაუხსნას და შექმნას კრეატიული იდეების სამჭედლო. რეაგიონში არსებული

სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და ინტელექტუალური ორგანიზაციების ჩართულობით ამის კიდწევა არის შესაძლებელი.

სამოქალაქო ჟურნალისტიკა

ერთ მტავარ და გადაუწრელ პრობლემად იქცა სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარება და მოქალაქეების ჩართვა სამაუწყებლო ცხოვრებაში. ხალხის ხმა ეთერში მხოლოდ მცირე რაოდენობით, საინფორმაციო ნიუსების წყალობით ისმის. ვერ ხერხდება ფართო აუდიტორიერიების მოწყობა სხვადასხვა აქტუალური საკითხების განსახილველად. საწიეროა მაუწყებელმა ამას ჯეროვანი ყურადრება მიაქციოს. ასევე ადგილი დაუთმოს და შეისყიდოს მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფრომაციები როგორც წერილობით, ისე ფოტო-ვიდეო ნამუსევრის სახით, თუ ის ჩაითვლება ან მასზე საჭირო გახდება სიუიჟეტის სხვა მასალის მომზადება.

სამუშაო გარემოს შექმნა

ერთ-ერთ მტავარ გამოწვევად აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რჩება შენობისა და საჭირო ინფრასტრუქტური მოწყობა. პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე გზა არსებობს. პირველი, ეს არის კოლეგიალური ურთიერთობის აღდგენა საზოგადოენმრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოსთან. შესაძლებელია მასთან ერთად ვაწარმოთ სხვადასხვა პროექტები. ამ მხრივ დავაინტერესოთ სამეთვალყურეო საბჭო და მივიღოთ ახალი, თანამედროვე სტანდარტების სატელევიზიო ოფისის შესაქმნელად საჭირო დაფინანსება. ამ მხრივ თავად ტელევიზიასაც შეუძლია გამოიყოს გარკვეული სახსრები, აიღოს სესხი, შეიძინოს მიწის ნაკვეთი და ააშენოს სატელევიზიო მუშაობისთვის საჭირო შენობა, თავის სატელევიზიო სტუდიებითა და პავილიონების მოწყობა.